

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი

სხდომის საოქმო ჩანაწერი №3/1/1624

2024 წლის 12 ივლისი

ქ. ბათუმი

**პლენუმის შემადგენლობა:**

მერაბ ტურავა – სხდომის თავმჯდომარე;

ევა გოცირიძე – წევრი;

გიორგი თევდორაშვილი – წევრი;

ირინე იმერლიშვილი – წევრი;

გიორგი კვერენჩილაძე – წევრი;

ხვიჩა კიკილაშვილი – წევრი;

მანანა კობახიძე – წევრი;

ვასილ როინიშვილი – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე;

თეიმურაზ ტულუში – წევრი.

**სხდომის მდივანი:** დარეჯან ჩალიგავა.

**საქმის დასახელება:** ცირა ჯავახიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

**დავის საგანი:** საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს,“, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ“ და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებთან მიმართებით.

I

**აღწერილობითი ნაწილი**

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 20 ივლისს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1624) მომართა ცირა ჯავახიშვილმა. №1624 კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, გადმოეცა 2021 წლის 22 ივლისს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომა, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაიმართა 2024 წლის 12 ივლისს.

2. №1624 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მომართვის



სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი და მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, 31-ე მუხლი, 31<sup>1</sup> მუხლი და 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია რიგი შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია, ქონებრივი ან არაქონებრივი დავის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოსთვის საკასაციო საჩივრით მიმართვის საფუძვლები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ისევე, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებით მოწესრიგებულია საკასაციო პალატის მიერ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის და ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვის შემთხვევები. ამავედროულად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის“.

4. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულია თანასწორობის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი განამტკიცებს სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებას. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

5. №1624 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, თბილისის საქალაქო სასამართლოში სესხის ხელშეკრულების თაობაზე მიმდინარეობდა დავა მოსარჩელე მხარესა და სს „თიბისი ბანკს“ შორის. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სს „თიბისი ბანკის“ სარჩელი. შედეგად, მოსარჩელე მხარეს კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა გარკვეული თანხის გადახდის ვალდებულება.

6. მოსარჩელე მხარემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან მიაჩნდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ დავა გადაწყვიტა კანონმდებლობის უხეში დარღვევით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ისარგებლა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული დისკრეციით და საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე ისე, რომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის პოზიცია ზეპირი მოსმენის გამართვასთან დაკავშირებით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2020 წლის 27 თებერვლის განჩინებით, არ დააკმაყოფილა მოსარჩელე მხარის სააპელაციო საჩივარი და პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება დატოვა უცვლელად.

7. მოსარჩელე მხარე განმარტავს, რომ სადავო ხელშეკრულება დადებული იყო 2012 წელს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაეფუძნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებით დამკვიდრებული ნორმის განმარტებას. მოსარჩელის მტკიცებით, უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ნორმის განმარტებას არ უნდა ჰქონდეს სავალდებულო ძალა სხვა, მათ შორის, პირველი და სააპელაციო ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის. მოსამართლე ყოველი დავის გადაწყვეტისას უნდა ხელმძღვანელობდეს მხოლოდ კანონით და კონსტიტუციით და არ უნდა შეიზოჭოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკით, რომელიც კანონს არ წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთი მხრივ, ეჭვქვეშ დადგება საქმის განმხილველი მოსამართლის დამოუკიდებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსარჩელის შემთხვევის მსგავსად, შესაძლოა, პირის მიმართ უკუქცევითი ძალით იქნეს გამოყენებული უზენაესი სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის დეტალურად გაცნობის, გასაჩივრების და რელევანტურობის ეჭვქვეშ დაყენების უფლება და შესაძლებლობა მიმდინარე საქმის მონაწილეებს არ გააჩნიათ.

8. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარე მიუთითებს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების მიუხედავად, სააპელაციო



სასამართლო დაეყრდნო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილში არსებულ ჩანაწერს და საქმე განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე. მოსარჩელის განცხადებით, საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის თაობაზე უარის თქმით, მას წაერთვა საქმის განმხილველი მოსამართლეების აცილების შუამდგომლობის დაყენების უფლება, ისევე, როგორც საქმეზე საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობა.

9. წარმოდგენილ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, მოსარჩელე მხარე ითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ და მე-9 პუნქტებთან მიმართებით.

10. №1624 კონსტიტუციური სარჩელის ავტორი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტზე დაყრდნობით, შუამდგომლობს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

## II

### სამოტივაციო ნაწილი

1. კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად აუცილებელია, იგი აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი ან კონსტიტუციური წარდგინება დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით კი, განისაზღვრება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის იმ მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება, რომლებიც ადასტურებს სარჩელის საფუძვლიანობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „კონსტიტუციური სარჩელის დასაბუთებულად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ მასში მოცემული დასაბუთება შინაარსობრივად შეეხებოდეს სადავო ნორმას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №2/3/412 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები შალვა ნათელაშვილი და გიორგი გუგავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9). იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებისათვის აუცილებელია, მასში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმასა და კონსტიტუციის იმ დებულებებს შორის, რომლებთან დაკავშირებითაც მოსარჩელე მოითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/469 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე კახაბერ კობერიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1). წინააღმდეგ შემთხვევაში, კონსტიტუციური სარჩელი ჩაითვლება დაუსაბუთებლად და არ მიიღება არსებითად განსახილველად.

2. მოსარჩელე მხარე ითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, რომელიც განამტკიცებს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებას.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, შეფასებას ექვემდებარება სამი განსხვავებული შემთხვევა: „ა) სახელმწიფო არსებითად თანასწორ პირებს, ნებისმიერი ნიშნის საფუძველზე, ეპყრობა განსხვავებულად; ბ) სახელმწიფოს მიერ დადგენილი, ფორმალურად თანასწორი მოპყრობა ფაქტობრივად იწვევს პირთან მყარად დაკავშირებული, კონსტიტუციურად მნიშვნელოვანი ნიშნით იდენტიფიცირებადი რომელიმე ჯგუფის (არაპირდაპირ) დიფერენცირებას; გ) როდესაც სახეზეა პირთან მყარად დაკავშირებული ნიშანი, რომლის გამოც ისინი კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, მიჩნეული უნდა იქნენ არსებითად არათანასწორად და წარმოემოზათ განსხვავებული მოპყრობის მოთხოვნის უფლება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/4/1351 გადაწყვეტილება საქმეზე „ციალა პერტია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის №3/2/853 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15).

4. ამდენად, სადავო ნორმის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართების და, შესაბამისად, თანასწორობის უფლების შეზღუდვის წარმოსაჩენად, მოსარჩელე მხარე ვალდებულია, დაასაბუთოს,



რომ სადავო ნორმით დადგენილი სამართლებრივი წესრიგი ექცევა ზემოთ დასახელებული სამი შემთხვევიდან ერთ-ერთში მაინც.

5. აღნიშნულის საპირისპიროდ, №1624 კონსტიტუციურ სარჩელში არ არის წარმოდგენილი არც ერთი არგუმენტი, რომელიც წარმოაჩენდა სადავო ნორმების საფუძველზე თანასწორობის უფლების რაიმე ტიპის შეზღუდვას. მეტიც, კონსტიტუციურ სარჩელში საერთოდ არაა განხილული მიმართება სადავო ნორმებსა და საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით დაცულ უფლებას შორის.

6. ამდენად, №1624 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სადავო ნორმების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

7. მოსარჩელე მხარე ითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების თანახმად, „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

8. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების ერთ-ერთ უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის განსაზღვრულობა. „პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმების ხარისხობრივი სტანდარტები ქმნის გარანტიას, რომ პირმა შეძლოს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარება მისი სურვილების შესაბამისად. მკაფიოდ განსაზღვრული კანონმდებლობის პირობებში პირს აქვს შესაძლებლობა, საკუთარი ქცევა შეუსაბამოს კანონის მოთხოვნებს, არ ჩაიდინოს აკრძალული ქმედება და თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/1/1289 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ბერუაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

9. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება აწესრიგებს კანონის დროში მოქმედების საკითხს. „კონსტიტუციის დასახელებული პუნქტი, ერთი მხრივ, ადგენს, რომ კანონს არა აქვს უკუძალა, მეორე მხრივ კი, განსაზღვრავს იმ გამონაკლის შემთხვევებს, როცა მას შეიძლება მიეცეს უკუძალა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის №1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

10. მაშასადამე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან სადავო ნორმის მიმართების წარმოსაჩენად აუცილებელია, სახეზე იყოს პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმა, ხოლო საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებასთან სადავო ნორმის მიმართების წარმოსაჩენად, აღნიშნული ნორმა უნდა აწესრიგებდეს კანონის დროში მოქმედების საკითხს.

11. №1624 კონსტიტუციურ სარჩელში სადავოდ გამხდარი ნორმები, უმეტესწილად, არეგულირებს პროცედურულ საკითხებს, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილია, ქონებრივი ან არაქონებრივი დავის შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოსთვის საკასაციო საჩივრით მიმართვის საფუძველები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, ისევე, როგორც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და ამავე კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტით და მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებით მოწესრიგებულია საკასაციო პალატის მიერ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის და ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვის შემთხვევები. ამკარაა, რომ აღნიშნული ნორმები არ ადგენს პასუხისმგებლობას, ისევე როგორც არ აწესრიგებს კანონის დროში მოქმედების საკითხს.



შესაბამისად, მათი შეფასება შეუძლებელია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით.

12. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, №1624 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს,“ ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ“ და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

13. რაც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველ წინადადებას, აღნიშნული რეგულაციის თანახმად, „უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) ავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის“. მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმის მოქმედება შესაძლოა, უკავშირდებოდეს კანონის დროში მოქმედების რეგულირების საკითხებს, თუმცა ისიც აშკარაა, რომ პასუხისმგებლობის დადგენის პოტენციალი, რაც სადავო ნორმის საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით წარმოსაჩენად აუცილებელ პირობას წარმოადგენს, მოსარჩელის არგუმენტაციიდან არ გამოკვეთილა.

14. შესაბამისად, №1624 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

15. მოსარჩელე მხარე ასევე ითხოვს სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, რომელიც განამტკიცებს სასამართლოსადმი მიმართვისა და საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლებას.

16. მოსარჩელე მხარის განცხადებით, სადავო ნორმები ავალდებულებს საერთო ინსტანციის სასამართლოებს, დავის გადაწყვეტის დროს გამოსაყენებელი ნორმების განმარტებისას, იხელმძღვანელოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, რაც ამცირებს მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხს, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მხოლოდ კანონს და კონსტიტუციას. მოსარჩელის აზრით, მიმდინარე საქმის გადაწყვეტისას, მოსამართლის მიერ განვითარებული მსჯელობის დაფუძნება უზენაესი სასამართლოს პრეცედენტებზე, ეწინააღმდეგება სამართლიანი სასამართლოს უფლებას. ყოველი საქმე ხასიათდება თავისი სპეციფიკურობით, შესაბამისად, თითოეული დავა, სხვა საქმეებზე გაკეთებული განმარტებებისგან დამოუკიდებლად უნდა იქნეს გადაწყვეტილი, განსაკუთრებით, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე დავის მონაწილე მხარეებს არ აქვთ გადაწყვეტილებაში გამოყენებული პრეცედენტების სრულფასოვნად გაცნობისა და მასში არსებული გარემოებების გასაჩივრების უფლება. მოსარჩელე მხარე სადავოდ აგრეთვე ხდის სააპელაციო სასამართლოს მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე არსებულ, ასევე საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან



გამომდინარე დავებზე სააპელაციო საჩივრის, ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას. მოსარჩელის აზრით, მსგავს შემთხვევაში მხარეს ეზღუდება საქმის განმხილველი მოსამართლეების აცილების შუამდგომლობის დაყენების, ისევე, როგორც საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისა და ახალი მტკიცებულებების წარდგენის უფლება.

17. აღსანიშნავია, რომ სადავოდ გამხდარი ნორმებიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადება ადგენს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასების (ნორმის განმარტების) ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის სავალდებულოდ გამოყენების წესს, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის გასაჩივრებული სიტყვები შეეხება სააპელაციო საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შემთხვევებს. დასახელებული ნორმების გარდა, სხვა სადავოდ გამხდარი დებულებები არეგულირებს საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის საკასაციო საჩივრით მიმართვისა და უზენაესი სასამართლოს დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის შემთხვევებს და შემხებლობაში არაა მოსარჩელის მიერ დასახელებულ პრობლემასთან. გარდა ამისა, კონსტიტუციურ სარჩელში არ არის წარმოდგენილი არგუმენტაცია ამ ნორმების არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით.

18. ამდენად, №1624 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, ასევე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ“ და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

19. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასება (ნორმის განმარტება) სავალდებულოა ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოებისათვის“. მოსარჩელე მხარის პოზიციით, ამგვარი ვალდებულება არღვევს საქმის განმხილველი მოსამართლის დამოუკიდებლობას და აიძულებს მას, კონკრეტულ საქმეზე ნორმის განმარტებისას, გამოიყენოს უზენაესი სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომელთა გაცნობისა და რელევანტურობის ეჭვქვეშ დაყენების უფლება მხარეებს არ გააჩნიათ.

20. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სადავო ნორმა ემსახურება საერთო სასამართლოების სისტემაში ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. კანონის განმარტებისა და გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება და დამკვიდრება უმნიშვნელოვანესი საჯარო ლეგიტიმური მიზანია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „უდიდესია სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკის მნიშვნელობა კანონის ნორმების შინაარსის სრულყოფილი გააზრებისა და სათანადო აღსრულებისათვის“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-44). „ცხადია, რომ კანონის განმარტების ერთგვაროვანი პრაქტიკის უზრუნველყოფა, პირველ რიგში, კანონის ბუნდოვანების და მისი არაერთგვაროვანი გამოყენების პრევენციისთვის არის გამიზნული, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვას ემსახურება“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14).

21. „პირის ქმედებების მართლზომიერება დამოკიდებული უნდა იყოს კანონზე და კანონის მოთხოვნები არ უნდა იცვლებოდეს საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის მიხედვით. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა და შინაგანი რწმენით მოქმედება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის განვითარებაში, თუმცა აღნიშნულის რეალიზება არ უნდა ხდებოდეს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნათა ხარჯზე. კანონის ინტერპრეტაციის თავისუფლება, მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასება მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობის





აუცილებელი ელემენტია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისთვის. მიუხედავად ამისა, პირმა საკმარისი სიცხადით უნდა იცოდეს, რას მოითხოვს მისგან კანონი, განსაკუთრებით, თუ იგი ქმედების თავისუფლების შემზღუდავ და პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებს შეეხება. ბუნებრივია, ვერ იარსებებს მოლოდინი, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკა არასდროს შეიცვლება, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა არ უნდა აფერხებდეს პრობლემურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-46).

22. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს. შესაბამისად, აშკარაა, რომ მისი როლი ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თავის მხრივ, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, არათუ საფრთხეს უქმნის ადამიანის უფლებებს, არამედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს კანონის განსაზღვრულობის და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპების უზრუნველყოფაში, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების ეფექტურად დაცვას განაპირობებს. მსგავსი მექანიზმი მიმართულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კანონი ერთგვაროვნად იქნეს გამოყენებული ყოველი პირის მიმართ. შესაბამისად, საქმის განმხილველი საერთო სასამართლოს მიერ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის პრეცედენტული განმარტებებით ხელმძღვანელობა და ამა თუ იმ ნორმის ერთგვაროვანი განმარტება, თავისთავად, საქმეზე უსამართლო გადაწყვეტილების მიღების წინაპირობად და სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვად ვერ იქნება მიჩნეული. პირიქით, როგორც წესი, საერთო სასამართლოების არაერთგვაროვანი პრაქტიკა წარმოშობს კანონის ბუნდოვანებას და ადამიანის უფლებების დარღვევის საფრთხეს.

23. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ დამკვიდრებული კანონის განმარტების ერთგვაროვანი პრაქტიკის უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, კანონმდებლობა, მათ შორის, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ნორმები, კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დიდი პალატის მიერ ჩამოყალიბებული ნორმის განმარტების შეცვლის მექანიზმს. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი აწესრიგებს შემთხვევას, როდესაც კონკრეტული საქმის განმხილველ სასამართლოს, თუ იგი დაასკვნის, რომ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რათა ის ნორმატიული აქტი (მათ შორის, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკით ნორმატიული აქტისთვის მინიჭებული შინაარსი), რომელიც სასამართლომ ამ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ მიჩნეულ იქნეს კონსტიტუციის შეუსაბამოდ, იგი შეაჩერებს საქმის განხილვას და მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმის (უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ დამკვიდრებული ერთგვაროვანი პრაქტიკით ნორმატიული აქტისთვის მინიჭებული შინაარსის) კონსტიტუციურობის შესამოწმებლად. ამგვარი მექანიზმებით კანონმდებლობა, ერთგვარად, ახალანსებს საქმის განმხილველი სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებს. შესაბამისად, დაუსაბუთებელია მოსარჩელე მხარის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა წარმოშობს კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს დამოუკიდებლობის დაკარგვისა და, შედეგად, განსახილველ საქმეზე უსამართლო გადაწყვეტილების მიღების რისკებს.

24. მოსარჩელე სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის წარმოსაჩენად აგრეთვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველი საქმის მონაწილეებისათვის, როგორც წესი, ხელმისაწვდომი არ არის უზენაესი სასამართლოს ის პრეცედენტული გადაწყვეტილებები, რომელთაც ეყრდნობა საქმის განმხილველი სასამართლო. შესაბამისად, მხარეებს არ შეუძლიათ, ექვევებ დააყენონ მათ საქმეში გამოყენებული პრეცედენტების სისწორე და სამართლიანობა. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული საკითხები სცდება სადავო ნორმის რეგულირების სფეროს. გასაჩივრებული ნორმა ადგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასების სავალდებულობას ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოსათვის და არ არეგულირებს გადაწყვეტილების გაცნობის ან გასაჩივრების წესს.

25. ამდენად, ნათელია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17



მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული წესი ემსახურება მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევას და, ზოგადად, უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის სამართლებრივი შეფასების (ნორმის განმარტების) ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოების მიერ სავალდებულოდ გამოყენებაზე მითითება, ვერ გამოდგება სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებით, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის სამტკიცებლად. ამავდროულად, სარჩელში წარმოდგენილი არგუმენტაციიდან, არც სხვაგვარად იკვეთება, რომ დიდი პალატის მხრიდან ნორმის განმარტების სავალდებულოობის აღნიშნული მექანიზმი და, შესაბამისად, სადავო ნორმა, პრაქტიკაში იძენს რაიმე იმგვარ შინაარსს, რომელსაც მიმართება ექნებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შეზღუდვასთან.

26. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, №1624 კონსტიტუციური სარჩელი, სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და არ უნდა იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი მიიჩნევს, რომ №1624 კონსტიტუციური სარჩელი, სხვა მხრივ, აკმაყოფილებს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებს და არ არსებობს აღნიშნული კანონის 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის საფუძველი.

28. მოსარჩელე მხარე შუამდგომლობს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

29. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტის მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ერთ-ერთი მხარისათვის გამოუსწორებელი შედეგები, მას შეუძლია, განმწესრიგებელი სხდომის გადაწყვეტილებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეაჩეროს სადავო აქტის ან მისი სათანადო ნაწილის მოქმედება“. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განმარტა, რომ აღნიშნული დებულებით დადგენილია საკონსტიტუციო სამართალწარმოების მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უფლებების ან საჯარო ინტერესის პრევენციულ დაცვას იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საფრთხე, რომ სადავო ნორმის მოქმედება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამოუსწორებელი შედეგის დადგომა ნიშნავს ისეთ ვითარებას, როდესაც ნორმის მოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს უფლების შეუქცევადი დარღვევა და დამდგარი შედეგის გამოსწორება შეუძლებელი იქნება ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი. ამასთან, პირს ასეთი შედეგის თავიდან აცილების სხვა სამართლებრივი შესაძლებლობა არ გააჩნია“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 20 მაისის №1/3/452,453 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 13 ნოემბრის №1/7/681 საოქმო ჩანაწერი საქმეზე „„მპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20).

30. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე კონსტიტუციურ სარჩელში საერთოდ არ არის წარმოდგენილი არგუმენტაცია, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების საფუძვლიანობის თაობაზე. არ არის დასაბუთებული, რა პოზიტიურ გავლენას მოახდენდა სადავო ნორმების შეჩერება პირის უფლებრივ მდგომარეობაზე. ასევე არაფერია ნათქვამი იმ გამოუსწორებელ შედეგებზე, რომლებიც სადავო ნორმების მოქმედების პირობებში ადგება მოსარჩელე მხარეს და რომელთა გამოსწორება შეუძლებელი იქნება შემდგომში, სადავო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაშიც კი.

31. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში არ არსებობს სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე მოსარჩელის შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი.





### III სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 27<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, 31-ე მუხლის, 31<sup>1</sup> მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 31<sup>2</sup> მუხლის მე-8 პუნქტის, 31<sup>3</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 31<sup>5</sup> მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 პუნქტების, 31<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის, 43-ე მუხლის საფუძველზე,

#### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

#### ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად №1624 კონსტიტუციური სარჩელი („ცირა ჯავახიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს,“ კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

ბ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით.

2. არ იქნეს მიღებული არსებითად განსახილველად №1624 კონსტიტუციური სარჩელი („ცირა ჯავახიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებს,“ ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ“ და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

ბ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ“ და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით;

გ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 376<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „აგრეთვე თუ საქმე შეეხება უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვას და საქართველოს საბანკო



დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტების მიერ დადებული (მათ შორის, ელექტრონული ფორმით დადებული) სესხის (კრედიტის) გაცემის შესახებ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავეხს,“, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების და 391<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „მე-17 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ“ და მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტთან მიმართებით;

დ) „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი წინადადების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით.

3. არ დაკმაყოფილდეს მოსარჩელე მხარის შუამდგომლობა, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სადავო ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე.

4. საქმეს არსებითად განიხილავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი.

5. საქმის არსებითი განხილვა დაიწყება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

6. საოქმო ჩანაწერი საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

7. საოქმო ჩანაწერი გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე 15 დღის ვადაში, გაეგზავნოს მხარეებს და „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

**პლენუმის შემადგენლობა:**

მერაბ ტურავა

ევა გოცირიძე

გიორგი თევდორაშვილი

ირინე იმერლიშვილი

გიორგი კვერენჩხილაძე

ხვიჩა კიკილაშვილი

მანანა კობახიძე

ვასილ როინიშვილი

თეიმურაზ ტულუმი

